

4 მარტი 2015 წელი

ქ. წყალტუბო

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, ფ.პ. ლუკა მარია, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ლუკა მარია სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საკალათბურთო კლუბ „წყალტუბო“-ს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეებისათვის სასტუმროში ბინადრობის მომსახურება;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (55110000);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1280 (ათასორასოთხმოცი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, საგადამხდელო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიერად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, საგადამხდელო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4. მომსახურების მიწოდება მოხდება 2015 წლის 5 მარტის ჩათვლით;

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი საგადამხდელო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე „შემსყიდველის“ მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს რიმა მარგიანს.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მოსახურების მიწოდება განხორციელდება - ქ. წყალტუბო.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ერჯერადად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25

ს/ს „ლიბერთი ბანკის“ წყალტუბოს ფილიალი

ბ/კოდი: LBRTGE22

ა/ა №GE25LB0120123490525000

ს/კოდი: 221274546

მუნიციპალიტეტის გამგებელი

კონსტანტინე მამისიშვილი

ბ. ა.



მიმწოდებელი:

ფ.პ. ლუკა ძარია

მის: ქ. წყალტუბო, დედაენის ქუჩა № 15/7

ს/ს „ლიბერთი ბანკი“

ბ/კოდი: LBRTGE22

ა/ა №GE33LB0111116245935000

ს/კოდი: 53001011339

ფიზიკური პირი

ლუკა ძარია

ბ. ა.

ლ. ძარია